

**SOME EPISODES FROM THE HISTORY OF TSKHINVALIS'S GEORGIAN THEATRE IN
THE NARRATIVE OF ACTIVE CRITICS IN REGION
(THE FIRST HALF OF XX CENTURY)**

**ზოგიერთი ეპიზოდი ცხინვალის ქართული თეატრის ისტორიდან რეგიონში
მოღვაწე კრიტიკოსთა ნარატივში (XX საუკუნის პირველი ნახევარი)**

ALEKSANDRE MGBRISHVILI

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. In the second half of the nineteenth century, the two outstanding flagships of the Georgian printed word "Droeba" and "Iveria" periodically reminded the interested public of the name of Zaal Machabli. It should be noted that from each line dedicated to him, respect and love for the talent and stage skills of the Samachablo theatre and character emerge.

As early as 1878, "Droeba" wrote: "On September 3, in Avaliani's house, Georgian amateur actors were presented with the domestically performed "Churlish" by Giorgi Eristavi. Many people attended and the performance went smoothly.

Karapeta, Chief Abramov performed his role with rigor; In some places, he played the role of a stupid man beautifully, but in some places he couldn't do it, because instead of a miser Carapetta, he resembled a rich and generous baker.

Archil, Chief Chubinov could not present the role of a young man in love, but it seemed that he had a talent for the stage; He proved it more in the second role, when came out as Akhunda: people laughed and applauded him.

Khampera, of El. Avaliani performed her role beautifully. She had the bow and quiet demeanor of a princely woman, but the intonation of her voice and the accent were more like an Armenian woman, and thus she gave a better impression to the role of Khampera.

The maid, M. Tershmovanova. was a real Georgian educator. She played the role honestly and diligently; This young woman showed good stage talent and the audience did not leave her without applause.

As for Ivanika, it seemed that Zaal Machabli was an experienced actor and presented a real stripped-down Imeretian boy before our eyes" (newspaper "Droeba", 1878, #180, p. 2).

"Iveria" repeatedly pointed to the successful play with the participation of Zaal Machabli.

"The village Sagholasheni wrote to us that during the performance held on May 1, a total of 36 manati came in, which has already been donated to the "Literacy Spreading Society". A vaudeville was presented that evening "Baikushi" by Mr. Av. Tsagareli and there were live pictures. The following took part in the performance: Duchess S. Tsereteli, E. Tsereteli, Zaal Machabli, Levan Tsitsishvili and Abel

and Kote Kalatozishvili. Both the performance and the live pictures were created by Tengiz Sardion Amirejibi in his own home. Quite a number of people from nearby villages attended the performance. There were also peasants. The public greatly enjoyed the performance (newspaper „Iveria“, 1888, #111, p. 2).

Keywords: Georgia; Samachablo; Tskhinvali, Georgian Theatre; Cultural life; Zaal Machabeli; Davit Kasradze; Vakhtang Kasradze; Ia Ekaladze.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ბეჭდვითი სიტყვის ორი გამორჩეული ფლაგმანი „დროება“ და „ივერია“ პერიოდულად ახსენებდა დაინტერესებულ საზოგადოებას ზაალ მაჩაბლის სახელს. უნდა აღინიშნოს, რომ მისადმი მიძღვნილი თითოეული სტრიქონიდან გამოსჭვივის სამაჩაბლოელი თეატრალის და მოღვაწის ნიჭის და სასცენო ოსტატობისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ჯერ კიდევ 1878 წელს დროება წერდა: „სამ ენკენისთვის უფ. ავალიანის სახლში ქართველ სცენის მოყვარეთა წარმოადგინეს შინაურულათ „ძუნწი“ გ. ერისთავისა. ბევრი ხალხი დეესწრო და წარმოდგენა რიგიანათ მიდიოდა.

კარაპეტამ, უფ. აბრამოვმა რიგიანათ აღასრულა თავისი როლი; ადგილ-ადგილ მშვენიერათ თამაშობდა ძუნწში ბრიყვი კაცის როლსა, მაგრამ ზოგ-ზოგ ადგილს კი ვერაფრათა, ესე რომ ძუნწი კარაპეტას მაგივრათ მდიდარ გულდია მეფურნეს მიემსგავსებოდა.

არჩილმა, უფ. ჩუბინოვმა ვერ წარმოადგინა რიგიანათ შეყვარებული ახალგაზრდა კაცის როლი, მაგრამ ჰჩანდა კი, რომ სცენის ნიჭი ჰქონდა; ეს უფრო მეორე როლში დაამტკიცა, როდესაც ახუნდათ გამოვიდა: ხალხი სიცილით დაიხოცა და ტაშის ცემით დააყრუა იგი.

ხამფერამ, ელ. ავალიანისამ მეტათ მშვენიერათ აღასრულა თავისი როლი. მიხრა-მოხრა და წყნარი ქცევა თავადიშვილის ქალისა ჰქონდა მას, მაგრამ ხმის ინტონაცია მისი და აქცენტი სწორეთ სომხის ქალისა იყო და ამით უფრო კარგ შნოს აძლევდა ხამფერას როლსა.

მოახლე მისი, მ. ტერშმოვანოვისა ნამდვილი ქართველი გამზრდელი იყო. პატიოსნათ და რიგიანათ აღასრულა თავისი როლი; კარგი სცენის ნიჭი გამოიჩინა ამ ახალგაზრდა ქალმა და პუბლიკამაც ტაშის დაუკვრელად არ დააგდო.

რაც ივანკას შეეხება, ჰჩანდა, რომ თ. ზაალ მაჩაბელი გამოცდილი აქტიორი ჰყოფილა და მართლაც ნამდვილი გამოსხლეტილი იმერლის ბიჭი წარმოადგინა ჩვენ თვალწინ“ („დროება“, 1878, #180, გვ. 2).

ზაალ მაჩაბლის მონაწილეობით წარმატებულ სპექტაკლზე არაერთხელ მიუთითებდა „ივერია“.

„სოფელ სალოლაშენიდან გვწერენ, რომ 1 მაისს გამართული წარმოდგენიდან შემოვიდა სულ 36 მან. რომელიც უკვე გარდაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა“. წარმოდგენეს იმ საღამოს ვოდევილი ბ-ნის ავ. ცაგარელისა „ბაიყუში“ და დასდგეს ცხოველი სურათები. წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა: კნ. ს. წერეთლისამ, ევ. წერეთლისამ, ზაალ მაჩაბელმა, ლევან ციციშვილმა და აბელ და კოტე კალატოზიშვილებმა. წარმოდგენაცა და ცხოველი სურათებიც გამართულ იქმნა თ. სარდიონ ამირეჯიბის თაოსნობით იმის საკუთარს სახლში. წარმოდგენაზედ საკმაოდ დაესწრო ხალხი გარშემო ახლო-მახლო სოფლებიდან. იყვნენ აგრეთვე გლეხ-კაცებიცა. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა წარმოდგენითა“ („ივერია“, 1888, #111, გვ. 2).

საკვანძო სიტყვები: საქართველო; სამაჩაბლო; ცხინვალი; ქართული თეატრი; კულტურული ცხოვრება; ზაალ მაჩაბელი; დავით კასრაძე; ვახტანგ კასრაძე; ია ეკალაძე.

შესავალი. სამაჩაბლოს მკვიდრი ადგილობრივი ინტელიგენცია ყოველმხრივ ზრუნავს კულტურული განვითარებისთვის. გახშირებულმა წარმოდგენებმა და ქართველ სცენისმოყვარეთა მუდმივმა დასმა, რომელიც აქ ფუნქციონირებს, 90-იანი წლების დამდეგიდან ბუნებრივად დააყენა საკითხი ცხინვალის სცენისმოყვარეთა მუდმივი დასისთვის თეატრის შენობის აუცილებლობის შესახებ.

ვინაიდან თეატრის მომთაბარე ცხოვრება ვეღარ აკმაყოფილებს ცხინვალელი მაყურებლის მოთხოვნებს, დგება საკითხი გამოიყოს სათეატრო შენობა. და აი, „ცხინვალის ინტელიგენციის, თეატრის გულშემატკივართა და ცხინვალის მაშინდელი მამასახლისის ი. ცერაძის მონდომებით და ხელშეწყობით 1895 წელს ლიახვის პირას აშენდა საზაფხულო შენობა, რომელსაც „როტონდას“ უწოდებდნენ. ამ შენობის გახსნას, როგორც ჩანს, იმდროინდელი პრესა არ გამოხმაურებია, ჩვენი ვარაუდით, კი ეს უნდა იყოს 1895 წლის 18 აგვისტო, რადგან გაზეთ „ივერიაში“ („ივერია“, 1895, #190) პირველად გვხვდება სიტყვა „როტონდა“. იმ დღეს ცხინვალელ სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ დედათა სკოლის დასაარსებლად და სამკითხველოს სასარგებლოდ კ. მესხის ხუთმოქმედებიანი დრამა „თამარ ბატონიშვილი“ (ლაშხია, 1980, გვ. 13).

საგულისხმოა, რომ თეატრის შენობის უქონლობის მიუხედავად, ზაალ მაჩაბელი თანამოაზრეებთან ერთად მხოლოდ ამ საზრუნავით არ გახლდათ დაკავებული. „სცენის მოყვარეთა ამხანაგობის“ დაარსებისთანავე იწყება მსჯელობა სახალხო სამკითხველოს მოსაწყობად ცხინვალში.

„ივერია“ იუწყებოდა: „ცხინვალიდან გვწერენ: თავ. ზაალ მაჩაბელისა და ბ-ნი კონსტანტინე ნოდისა მეთაურობით, უკვე დაარსდა „სცენის მოყვარეთა ამხანაგობა“. ამხანაგობას განზრახვა აქვს აიშენოს საკუთარი სახლი, რომელშიაც უფასო სახალხო სამკითხველოც უნდა დააარსონ. „ამხანაგობის“ და სამკითხველოს წესდება უკვე შემუშავებული აქვთ, რომლებსაც ახლო მომავალში მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენენ“ („ივერია“, 1905, #146, გვ. 2).

გარდა ამგვარი კულტურული მოღვაწეობისა ზაალ მაჩაბელი გამოირჩევა პროგრესული აზროვნებით და დროის შესაფერისი მოწინავე შეხედულებებით. მისი დამოკიდებულება გლეხთა საკითხის მიმართ ნათლად არის გაცხადებული მისივე ავტორობით გამოქვეყნებულ

ზოგიერთ ტექსტში. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ერთ-ერთ ამონარიდს წერილიდან, რომლითაც მას მიუმართავს „ივერიის“ რედაქციისთვის.

„ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ გამოვხატო ჩემი სრული თანხმობა იმაზე, რაც „ივერიის“ #96-ში („ივერია“, 1905, #96, გვ. 4) არის ჩემ მეგვარე თავად მაჩაბლებისაგან გამოცხადებული: გლეხებისთვის დათმობა ნადელებისა, საწყლის-პიროსი, სამოვრისა, სახლის საჭიროებისათვის მუქთად ტყის მასალისა და საკუთარ მამულის სამეათედოდ ხვნა-თესვისა. ამაზე სრულ თანხმობას ვაცხადებ...“ („ივერია“, 1905, #104, გვ. 4).

კვლევის მეთოდები: ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. კიდევ ერთხელ უნდა მივუთითოთ, რომ ცხინვალის სცენისმოყვარეთა დასი უაღრესად საჭირო, აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. შესაძლებლობის ფარგლებში (ძირითადად ეს დახმარება განისაზღვრებოდა გამართული წარმოდგენის შედეგად მიღებული შემოსავლის რაოდენობით) სისტემატურად ეხმარებოდა ბიბლიოთეკას, სკოლას და სხვა კულტურული დონის ამაღლებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ობიექტებს.

ასეთივე მისაბამი საქმიანობით შეაბიჯა ცხინვალის ქართველ სცენისმოყვარეთა მუდმივმა დასმა ახალ საუკუნეში. ზემოთაც ვახსენეთ, რომ XX საუკუნის დამდეგის ცხინვალში უდიდესი ხანძრის შედეგად დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა სანუგეშოდ და ხელის წასახმარებლად დასი ზედიზედ მართავს რამდენიმე წარმოდგენას.

„დიდი ხანძარი გაჩენილა და თითქმის ნახევარი ცხინვალი გადამწვარა. მადლობა ღმერთს, რომ ღამე არ იყო, თორემ მთელი ცხინვალი გადაიწვებოდა და ბევრსაც იმსხვერპლებდა, კაცი ვერ აღწერს იმ საშინელებას, იმ შემადრწუნებელ წივილ-კივილს დიდ და პატარისას. ქალებისა და კაცებისას, იმ ტანჯვა-მწუხარებას, რომელიც მოისმოდა ყოველი სახლიდან...“ („ცნობის ფურცელი“, 1902, #1905).

ცნობილია, რომ ამ ტრაგედიის დროს ცხინვალში განსაკუთრებულად მძიმე დანაკარგით გამოირჩეოდა ადგილობრივი ქართველი ებრაელობა.

ცხინვალელმა სცენისმოყვარებმა რამდენიმე საქველმოქმედო წარმოდგენა გამართეს¹, რომელთა შემოსავალი მთლიანად ხანძრისგან დაზარალებულთა დახმარებას მოხმარდა.

მომდევნო რამდენიმე წელი ცხინვალის თეატრალური ცხოვრებისთვის ნაკლებად სახარბიელო აღმოჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ცხინვალის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების დაუდალავი რეცენზენტი, და საერთოდ, ცხინვალში სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის აქტიური მებრძოლი იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე)²: „ერთხელ კიდევ ჩაეყარა საძირკველი იმ კეთილ საქმეს, რომელსაც თეატრი, მომავა-

¹ წარმოდგენები გაიმართა იმავე 1902 წლის 27/VII, 10/VIII.

² იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე) - მწერალი, პუბლიცისტი. დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1911 წელს დაინიშნა გორის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. 1912 წელს მიიწვიეს ქუთაისში მასწავლებლად. 1912-1913 წლებში იყო გაზეთ "ქართლის" და 1915-1916 წლებში გაზეთ "სამშობლოს" რედაქტორ-გამომცემელი. 1919 წელს მიიწვიეს დაბა ჩოხატაურის ახლად დაარსებული გიმნაზიის დირექტორად; 1894 წელს გამოაქვეყნა პირველი

ლი სახალხო უნივერსიტეტი ჰქვია. ერთხელ კიდევ-მეთქი - იმიტომ ვამბობ, რომ ცხინვალელებს უკვე ჰქონდათ თეატრის შენობაც და სასეირნო ბაღიც, მაგრამ ხალხის მოძრაობის დროს ვიღაც გადარეულმა ფანატიკოსებმა ერთ ღამეს წაუკიდეს ცეცხლი ამ შენობას და ნაცრად აქციეს. ამის შემდეგ ორი-სამი წელიწადი აზვირთებულ ხალხს აღარც თეატრისთვის სცხელოდა, როგორც მოგეხსენებათ, და აღარც სხვა კულტურული მოღვაწეობისათვის..." („ამირანი“, 1908, #137). იმავე წელს (1908) საგანგებოდ არჩეულმა კრებამ, რომელიც ცხინვალის მაშინდელი ინტელიგენციისგან დაკომპლექტდა იმსჯელა ადგილობრივი სასცენო ხელოვნების პრობლემების შესახებ და „უკამათოდ საჭიროდ სცნო საერთო კულტურული მოღვაწეობა“ (ი. ცინცაძე) (ლაშხია, 1980, გვ. 28). შეიძინეს მიწის ნაკვეთი ლიახვის მარცხენა სანაპიროზე და ძირითადად შემოწირულობების ხარჯზე თეატრის შენობის მშენებლობაც დაიწყო. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ახალი თავშესაფარი ცხინვალის სცენისმოყვარეთა მუდმივი დასისთვის მზად იყო უკვე მომდევნო 1909 წლისთვის.

ია ეკლადის გარდა ცხინვალის სცენისმოყვარეთა საქმიანობას სათანადოდ ამუქებდა დავით კასრაძე. სწორედ მან წამოწია პირველად ერთ-ერთი ცხინვალელი სცენისმოყვარის ჰაიკანუმ ოვანოვას სახელი და საზოგადოებას „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან ამცნო: „ეს ახალგაზრდა ქალი სცენის მშვენივალად შეიქმნება, თუკი ნიჭს უკვალოდ არ ჩააქრობს...“ („სახალხო გაზეთი“, 1913, #973).

უნდა ითქვას, რომ ცხინვალში გამართული წარმოდგენების ობიექტურ შემფასებელთა შორის ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სახელოვანმა ცხინვალელმა მოღვაწემ და სამაჩაბლოს თეატრალური ტრადიციების მკვლევარმა ვახტანგ კასრაძემ³. იგი 1940 წელს ჩაუდგა სათავეში ცხინვალის პირველ საშუალო სკოლას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკოლის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ბატონი ვახტანგი 33 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლას და სწორედ მისი დირექტორობის პერიოდში, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, სასკოლო ცხოვრება მანამდე არნახულ სიმაღლეებს ეზიარა.

ერთნაირი გატაცებით ასრულებს ვახტანგ კასრაძე ფიზიკის მასწავლებლის თუ გაზეთის რედაქტორის მოადგილის მოვალეობას. არანაკლები ენთუზიაზმით ეკიდება სასკოლო წრეობრივ მუშაობას და ყველა ღონეს ხმარობს ამ მიმართულებით მოსწავლეთა დასახმარებლად. მისი თავგაცობით მოსწავლეთა შორის ჩამოყალიბდა დრამატული წრე, რომლის მიერ არაერთი სპექტაკლი დაიდგა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. მისივე აქტიური მხარდაჭერით მოქმედებდა მომღერალთა გუნდი.

მოთხრობა "ილიკო ბედენიძე", გაზეთ "ივერიაში"; ავტორია მოთხრობებისა: "დაუდეგარი" (1897), "თეო" (1895), "ჩემი ცოდვა გქონდეს!" (1894), "კრებაზე" (1897); მას ეკუთვნის ასევე თეთრი ლექსები, რომლებსაც "ლექსისებურს" უწოდებდა (ფსევდონიმი - თომანთ კობა).

³ ვახტანგ კასრაძემ 1925 წელს დაამთავრა ცხინვალის შვიდკლასიანი ქართული სკოლა და ჩააბარა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, პარალელურად კი მუსიკალურ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. სტუდენტობის პერიოდში დასვენების დღეების ხარჯზე მუშაობას იწყებს ცხინვალში კულტურის მუშაკის პოზიციაზე. ხელმძღვანელობს თავის მიერ შექმნილ სიმღერის გუნდს, დრამატულ წრეს. აქტიურად მონაწილეობდა თეატრთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობასა და მათ შორის სამხატვრო საბჭოს სრულფასოვან მუშაობაში. 1936 წელს იგი დაინიშნა ცხინვალის ქართული საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად. 1940 წელს კი ამავე სკოლის დირექტორად. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ვ. კასრაძე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით კი ცხინვალის ერთადერთ ქართულ პერიოდულ გამოცემაში „საბჭოთა ოსეთი“.

ვ. კასრადეს არასოდეს აკმაყოფილებდა მიღწეული. სისტემატური ხასიათი ჰქონდა სკოლაში სხვადასხვა ცნობილ ადამიანთა მიწვევებს ლექციების წასაკითხად. მაღალ დონეზე ტარდებოდა ჩვენი კლასიკოსებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც ვახტანგ კასრადეს მიუძღვის, როგორც ცხინვალში თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის თავდაუზოგავ მებრძოლს. მისი დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში გიორგი ხაჩატუროვი⁴ იტვის, რომ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი დამსახურება ცხინვალში თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. დიდი წვლილი მიუძღვის სამხრეთ ოსეთის ვ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის - ცხინვალის ქართული პროფესიული თეატრის შექმნაში. იგი ხომ ძირითადად სარეწაო კავშირის არტელთან არსებული დრამწრის ბაზაზე ჩამოყალიბდა. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის იღებდა ნიჭიერი ახალგაზრდების შევსებას, რომლებიც ამ სიკეთეს სკოლაში ვახტანგ კასრადის ხელმძღვანელობით მომუშავე თვითმოქმედ წრეებში ეზიარებოდნენ ხოლმე.

სკოლის შემდეგ თეატრი იყო ვ. კასრადის საზრუნავი და სამყოფელი, მისი სამლოცველო. არც ერთი დღე არ შეეძლო მასთან ურთიერთობის, მზრუნველობის გარეშე. იგი ცხინვალის თეატრის ისტორიის მკვლევარაც გახლდათ.

ვ. კასრადის საგაზეთო წერილებში ნათლად იკვეთება ხელოვნების სფეროში მისი მოღვაწეობის პერიპეტიები. იმ ადამიანებთან ურთიერთობები, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული თეატრთან. ასეთები კი მრავლად იყვნენ. მისი თქმით, ცხინვალს ახსოვს ადამიანთა სახეები, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქალაქის კულტურის განვითარების საქმეს. ისინი არ ზოგავდნენ ენერჯიას და შემართებით უდგნენ წინ ყოველგვარ დაბრკოლებას. დასაწყისში კი უმთავრესი დაბრკოლება მაინც თეატრების უქონლობა, პროფესიონალ მსახიობთა მკვეთრი ნაკლებობაა.

ამიტომაც იქმნებოდა ჯავრიშვილების, მეჩითიშვილების, მიქელაძეთა და სხვათა ოჯახებში ხელოვნების კერები. იზრდებოდნენ ხალხურ მთქმელთა და მომღერალთა თაობები.

ვ. კასრადის წერილები და რეცენზიები ცხინვალის თეატრის ერთგვარი ისტორიაა. ამ ნაწერებში ასახულია ქართული დასის ჩამოყალიბების გზა, თეატრალური ცხოვრების მაჯისცემა. მკითხველის წარმოდგენებში ცოცხლდება მამინდელი თეატრის მოყვარულთა თუ პროფესიონალ მსახიობთა სახეები. ვ. კასრადე მთლიანად არის ჩანთქმული ამ სამყაროში. მისი მხედველობის არემია ყოველი ნიუანსი, თითოეული მსახიობის შესაძლებლობათა ყოველი მისხალი. სპექტაკლები შეფასებულია ყოველმხრივ, თითოეული დეტალის გათვალისწინებით.

⁴ სხვადასხვა დროს **გ. ხაჩატუროვი** მუშაობდა: პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების გამგედ, გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, ცხინვალვაჭრობის დირექტორად, საოლქო აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგედ და ა.შ. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. დაჯილდოებული გახლდათ მედლებითა და ორდენებით.

1946 წლის 16 ივლისს, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“⁵ ფურცლებზე გამოქვეყნებულ საგაზეთო მასალაში „კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის დათვალიერება“ (კასრამე, 1946, #137) დავით კასრამე⁶ მიუთითებდა ცხინვალის თეატრის ქართული დასის იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც დაადგინა და მზის სინათლეზე გამოიტანა თეატრის შემოქმედებითი უნარიანობის შემმოწმებელმა კომისიამ ცხინვალის სახელმწიფო თეატრის 1946 წლის დათვალიერების შემდგომ.

ვახტანგ კასრამე, როგორც ცხინვალის თეატრის მოამაგე და ქომაგი, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ამ ფაქტს: „დამთავრდა საქართველოს თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება, რის შედეგად ბევრი რამ ითქვა, როგორც რაიონულ და რესპუბლიკურ კონფერენციებზე, ისე პრესაშიც. დათვალიერების გარეშე არ დარჩენილა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის თეატრიც, რომელშიც ერთდროულად მუშაობენ ოსური, ქართული და რუსული სექციები. დათვალიერებამ ნათელჰყო, რომ სტალინირის ოსურმა და რუსულმა თეატრებმა სათანადო მაჩვენებლები მოიპოვეს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე, მაგრამ ყველასთვის ჩამორჩენილი აღმოჩნდა სტალინირის ქართული თეატრი, რომლის მუშაობაშიაც დადებითი ვერაფერი ვერ აღმოაჩინა დათვალიერებისათვის

⁵ 1933 წლის 8 ივნისიდან დაიწყო პირველი ქართული ხუთდღიანი გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ გამოცემა ცხინვალში. მისი ტირაჟი საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის მონაცემების მიხედვით 30-იან წლებში არ აღემატება ათას სამას ეგზემპლარს. საგულისხმოა, რომ მომდევნო ორმოციან წლებში ტირაჟი ხსენებული გაზეთისა საგრძნობლად მატულობს და ორი ათას შვიდას ეგზემპლარს აღწევს. უფრო გვიან კი, დაახლოებით სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქცია მოსკოვის ქუჩაზე ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა, ყოველდღიური ფართოფორმატიანი გაზეთის ერთჯერადი ტირაჟი ცამეტი ათასი გახლდათ. რაც შეეხება რედაქციას, უნდა ითქვას, რომ დასაწყისში რედაქციის მისამართია საქართველოს კპ(ბ) საოლქო კომიტეტის შენობა, ხოლო გაზეთის რედაქტორად საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ითვლებოდა ავტომატურად. კოლექტივის წევრთა დიდ ნაწილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება და მრ. მისთ. სხვადასხვა დროს გაზეთის სარედაქციო კოლექტივში აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდნენ: მ. შერაზადიშვილი, გ. ხაჩატუროვი, ც. თინიკაშვილი, ნ. ჩალაური, ო. ესიაშვილი, ვ. მაისურამე, ქ. ბურნაძე, ნ. დოიჯაშვილი, ე. ბაშარული, ვ. ბაგაევი, ს. ჯავახიშვილი, დ. მაისურამე, ვ. კობერიძე, ვ. დევიძე, ი. ტოლიაშვილი, ც. კახნიაშვილი, ე. მამისაშვილი, ვ. მელქოევი, დ. მურადოვა, ალ. თედიაშვილი, ალ. აბულაძე, დ. ზუბაშვილი, ზ. ნიკუჭაძე, თ. კვადინიძე და მრ. სხვ. ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქტორად დაარსების პერიოდში ავტომატურად ითვლებოდა საოლქო კომიტეტის მდივანი. 1933 წლის ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ ნომერს ხელს აწერს მაშინდელი საოლქო კომიტეტის მდივანი, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ისაკი ჟვანია. სხვადასხვა დროს გაზეთს რედაქტორობდნენ: რ. ლაზარაშვილი, ბ. გვარამია, ს. ყულაევი, მ. გიორგაძე, პ. ქერქაძე, ვ. სარალიძე, მ. ბინიაშვილი, ვ. ტრაპაძე, შ. მაჭავარიანი, ვ. გელაშვილი, ა. მამისაშვილი, ვ. მაისურამე, შ. ლარცულიანი, ვ. კასრამე, ვ. საბანაძე, მ. შერაზადიშვილი.

⁶ მოცემულ პერიოდში ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებასა და კულტურულ ფასეულობათა განვითარებაში საყურადღებო დამსახურება აქვს ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დავით კასრამეს. იგი დაიბადა 1885 წელს ფრონეს ხეობის სოფელ ავნევეში. მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ცხინვალის რეგიონის მოაზროვნე მამულიშვილთა შორის. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისთანავე სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისში ფილოსოფიასა და ლიტერატურას ეწაფება პარიზის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. დ. კასრამეს წილად ხვდა ბედნიერება, პირადად გასცნობოდა ისეთ კორიფეებს, როგორებიც გახლდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა, აკაკი და სხვები, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე დიდ ილიას მოუხდენია. მასთან ურთიერთობის მაღლი წარუშლელ მოგონებად სდევდა სიცოცხლის ბოლომდე.

გამოგზავნილმა კომისიამ. ეს ამბავი მათ მიერ ითქვა თეატრში მაცურებლებთან მოწვეულ კონფერენციებზე.

აღნიშნული ნაკლოვანებები ტრიალებენ იმის გარშემო, რომ ქართულ თეატრს არა ჰყავს მომზადებული ხელმძღვანელი და ნაწილობრივ თეატრის დირექციაც ნაკლებ ყურადღებას იჩენს ქართული თეატრის მიმართ“ (კასრაძე, 1946, 27/VII).

ხსენებულ პუბლიკაციაში ავტორი დეტალურად განიხილავს იმ ჩრდილოვან მხარეებს, რომლებმაც გარკვეულწილად განაპირობეს ცხინვალის ქართული დასის წარუმატებლობა: ხაზს უსვამს თითოეული მსახიობის მიერ შესრულებულ როლებს, არგუმენტირებულად წარმოაჩენს მათ რეალურ შესაძლებლობებს და კონკრეტულ შემთხვევებში მათთვის შერჩეული როლების არაადეკვატურობას.

მიუხედავად ბევრი შენიშვნის და მკვეთრად მკაცრი ტონის, ვ. კასრაძე დასასრულს დასძენს, რომ დარწმუნებულია ცხინვალის ქართული თეატრის შესაძლებლობებში, რომ მის ახალგაზრდა კოლექტივს ბევრჯერ დაუმტკიცებია თავისი დიდი შემოქმედებითი მუშაობის უნარი და მომავალშიც ენერგიულად მოჰკიდებს ხელს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ კასრაძის მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს ამაოდ არ ჩაუვლია. როგორც ჩანს, ჩვენ მიერ ზემოთხსენებულ მტკივნეულ ეპიზოდს ქართული დასის წევრები გაორმაგებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ამიტომაც იმავე 1946 წლის მომდევნო თვეში მორიგ საგაზეთო მასალას დავით კასრაძე სრულიად განსხვავებული პათოსით იწყებს და ქების სიტყვებსაც არ იშურებს ცხინვალის ქართული თეატრის მისამართით: „სტალინირის⁷ კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა მორიგ პრემიერად სანდრო შანშიაშვილის დიდად გახმაურებული პიესა „ხევისბერი გოჩა“ აირჩია. ასეთი არჩევანი სეზონის დახურვის წინ, განსაკუთრებით თეატრალური დათვალიერებისას ჩავარდნის შემდეგ, სწორედ დროული იყო. კოლექტივი ან მთლად უნდა დამარცხებულიყო, ანდა საზოგადოებისათვის უნდა ეჩვენებინა თავისი ცხოველყოფილობა. ამ არჩევანის წინაშე იდგა ქართული კოლექტივი და დამსწრე საზოგადოებაც ერთგვარი მსაჯულის სახით ეწვია თეატრს.

უნდა ითქვას, რომ სპექტაკლმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ამით გამართლდა ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი კოლექტივის შემადგენლობის შესახებ, როდესაც მსახიობთა ინდივიდუალურ ნიჭში დაეჭვება არც კი გვინდოდა, და თუ კოლექტივს, ღირსეული ხელმძღვანელობა ეყოლებოდა, გამარჯვებას მოიპოვებდა. ასეც მოხდა. კოლექტივს უმუშავნია, ამოქმედებულა ხელმძღვანელობაც და დაცემულ რეპუტაციასაც მოუხდა საპატიო აღდგენა. აქედან ცხადი უნდა იყოს ხელმძღვანელობისათვის, რა მნიშვნელობა აქვს დაუღალავ შრომას და ერთსულოვნებას. ბეჯითად მომუშავე ხარი ხშირად მეტს აკეთებს, ვიდრე ფრთაშესხმული მერანი. მაღალნიჭიერება უშრომოდ ჩაკვდება, ხოლო შრომით და მუყაითობით დაბალი ნიჭი მაღალ მაჩვენებლებს მოგვცემს თავის პროდუქციისას...“ (კასრაძე, 1946, 7/VIII).

გასული საუკუნის შუა წლებში, კერძოდ 1947 წელს ცხინვალის ქართულ თეატრს საბჭოური ისტორიის 10 წელი შეუსრულდა. ვ. კასრაძე, რომელიც უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს თითოეული სპექტაკლის ღირსეულ დაბადებას, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ ფაქტის მიმართ. იგი წერდა: „მიმდინარე წლის ივლისში ათი წელი შესრულდა, რაც სტალინირში შეიქმნა

⁷ ცხინვალი (სტალინირი) - ქალაქი საქართველოში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყოფილი ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. 1931-1961 წლებში ქალაქს სტალინირი ერქვა.

პროფესიონალური ქართული დრამატული თეატრი. ეს ამბავი იმ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რომ სტალინირის ქართული საზოგადოების მზარდ კულტურულ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდნენ მანამდე არსებული დრამატული წრეები.

აღსანიშნავია, რომ სტალინირის მოსახლეობაში ძველთაგანვე იგრძნობოდა მისწრაფება თეატრალური ხელოვნებისადმი. სცენაზე თამაში სასახელო საქმედ ითვლებოდა. ასეთი გატაცების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ხალხის სახსრებით ჯერ კიდევ 1910 წელს, ძველ ცხინვალში, ლიახვის პირას აშენებულ იქნა საზაფხულო თეატრი, სადაც იდგმებოდა პიესები: „ღალატი“, „სამშობლო“, „და-ძმა“, „ქართველი დედა“, „ხანუმა“, „არშინ-მალ-ალანი“ და სხვ. ძველი ცხინვალის დრამატული საზოგადოება ხშირად იწვევდა სპექტაკლებში მონაწილეობისათვის ცნობილ ქართველ მსახიობებს: ელ. ჩერქეზიშვილს, ზ. მაჩაბელს, ნ. გოცირიძეს და სხვებს, ხოლო 1913 წელს თვით ქართული სცენის დიდი კორიფე ვლ. ალექსი-მესხიშვილიც⁸ კი ყოფილა და უთამაშნია „საშინელ შურისძიებაში“. ამ სპექტაკლში დედის როლს სოფიო კობალაძე ასრულებდა.

ასეთი ქართული დრამატული კოლექტივი არსებობდა თვით სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრთანაც 1937 წლის ივლისამდე. შემდგომში იგი, ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, გადაკეთდა ქართული პროფესიონალური თეატრის კოლექტივად...“ (კასრაძე, 1947, 17/VIII).

ვახტანგ კასრაძე სისტემატურად ადევნებდა თვალს ცხინვალის ქართული თეატრის მიერ მომზადებულ სპექტაკლებს და ყოველი მათგანის მაცურებლის სამსჯავროზე წარმოდგენისთანავე საკუთარ კომპეტენტურ მოსაზრებებს, არგუმენტირებულ შენიშვნებს, ანალიზს, დასკვნებს და კეთილ სურვილებს არ იშურებდა მათთვის. სხვადასხვა დროს იგი გამოხმაურებია ისეთი სპექტაკლების დაბადებას, როგორებიც გახლდნენ: „ნართი ბათრაძი“ (კასრაძე, 1945, #118, 16/VI), „ნათელი დღე“ (კასრაძე, 1946, 1/III), „გეგეჭკორი“ (კასრაძე, 1949, 18/V), „ადღენილი ოჯახი“ (კასრაძე, 1949, #103, 28/V) და მრ. სხვ.

⁸ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი - ქართველი მსახიობი და რეჟისორი. რესპუბლიკის სახალხო არტისტი (წოდება მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ, 1930 წელს). სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1881 წელს შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში. 1890 - ხელმძღვანელობდა თბილისის, 1897-1906 - ქუთაისის დრამატულ დასებს. 1910-1914 იგი სათავეში ედგა თბილისის, 1914-1915 - ქუთაისის თეატრებს. 1913 წელს აღინიშნა მისი სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე. საინტერესოა მის მიერ შექმნილი კომედიური და სახასიათო სახეები. დადგმული აქვს 100-ზე მეტი პიესა, ქართული სცენისათვის თარგმნა არაერთი დრამატული ნაწარმოები. ალექსი-მესხიშვილის სახელი მინიჭებული აქვს ქუთაისის დრამატულ თეატრს (1940).

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაზ. „დროება“. (1878). #180.
 გაზ. „ივერია“. (1888). #111.
 გაზ. „ივერია“. (1895). #190.
 გაზ. „ივერია“. (1905). #146.
 გაზ. „ივერია“. (1905). #96.
 გაზ. „ივერია“. (1905). #104.
 გაზ. „ცნობის ფურცელი“. (1902). #1905.
 გაზ. „ამირანი“. (1908) #137.
 გაზ. „სახალხო გაზეთი“. (1913). #973.
 კასრაძე, დ. (1946). კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის დათვალიერება. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. #137.
 კასრაძე, დ. (1946). „ხევისბერი გოჩა“ სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 7/VIII.
 კასრაძე, ვ. (1946). რას უნდა მიაქციოს ყურადღება სტალინირის ქართულმა თეატრმა მომავალში. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 27/VII.
 კასრაძე, ვ. (1947). სტალინირის ქართული თეატრი არსებობის 10 წლისთავზე. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 17/VIII.
 კასრაძე, ვ. (1942). „ნართი ბათრადი“ კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 26/IX.
 კასრაძე, ვ. (1945). „ნაცარქექია“. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. #118, 16/VI.
 კასრაძე, ვ. (1946). „ნათელი დღე“, სტალინირის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმა. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 1/III.
 კასრაძე, ვ. (1949). „გეგეჭკორი“ სტალინირის თეატრში. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. 18/V.
 კასრაძე, ვ. (1949). „აღდგენილი ოჯახი“ სტალინირის სახელმწიფო თეატრში. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“. #103, 28/V.
 ლაშხია, ნ., მემვილდე, თ. (1980). ცხინვალის ქართული თეატრი. თბილისი.

REFERENCES

- gaz. „droeba“*. (1878). #180.
gaz. „iveria“. (1888). #111.
gaz. „iveria“. (1895). #190.
gaz. „iveria“. (1905). #146.
gaz. „iveria“. (1905). #96.
gaz. „iveria“. (1905). #104.
gaz. „tsnobis purtsehi“. (1902). #1905.
gaz. „amirani“. (1908) #137.
gaz. „sakhalkho gazeti“. (1913). #973.
 k'asradze, d. (1946). k'ost'a khetagurovis sakhelobis st'aliniris sakhelmts'ipo teat'ris datvaliereba [Visiting the Stalinir State Theater named after Kosta Khetagurov]. *gaz. „sabch'ota oseti“*. #137.

- k'asradze, d. (1946). „khevisberi gocha“ st'aliniris k'ost'a khetagurovis sakhelobis sakhelmts'ipo teat'rshi [„Khevisbury Gotcha“ in the Stalinir State Theater named after Kosta Khetagurov]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 7/VIII.
- k'asradze, v. (1946). ras unda miaktsios quradgheba st'aliniris kartulma teat'rma momavalshi [What should Stalinir Georgian Theater pay attention to in the future?]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 27/VII.
- k'asradze, v. (1947). st'aliniris kartuli teat'ri arsebobis 10 ts'listavze [Stalinir's Georgian Theater on the 10th anniversary of its existence]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 17/VIII.
- k'asradze, v. (1942). „narti batradzi“ k'ost'a khetagurovis sakhelobis sakhelmts'ipo teat'rshi [„Narti Batradzi“ in the State Theater named after Kosta Khetagurov]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 26/IX.
- k'asradze, v. (1945). „natsarkekia“ [„Nazarkekia“]. *gaz. „sabch'ota oseti“*. #118, 16/VI.
- k'asradze, v. (1946). „nateli dghe“, st'aliniris sakhelmts'ipo teat'ris akhali dadgma [„Bright Day“, a new production of the Stalinir State Theater]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 1/III.
- k'asradze, v. (1949). „gegech'k'ori“ st'aliniris teat'rshi [„Gegechkor“ in the Stalinir Theater]. *gaz. „sabch'ota oseti“*. 18/V.
- k'asradze, v. (1949). „aghdgenili ojakhi“ st'aliniris sakhelmts'ipo teat'rshi [„Restored Family“ in Stalinir State Theater]. *gaz. „sabch'ota oseti“*. #103, 28/V.
- lashkhia, n., meshvilde, t. (1980). *tskhinvalis kartuli teat'ri [Georgian Theater of Tskhinvali]*. Tbilisi.